პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 107 (13501) | ხუთშაბათი, 12 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის ვალზე

ახალციხელმა მხვნელ-მთესველებმა 5 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ბრძელიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. გელაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. ბოგიბერიძემ. — რაიონში საგაზაფხულო კულტურები დაითესა 3.939 ჰექტარი ნაცვლად 3.756 ჰექტარისა. კარტოფილი დაითესა 1.132 ჰექტარი, გეგმა კი 1.102 ჰექტარი იყო, ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა განაღდებულია 436 პროცენტით.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის ოთხი თვის საწარმოო დავალება გადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით გაანაღდა თბილისის კამოელ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა, რომელმაც მომხმარებელს ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით 14 ათასი მეტრი მამაკაცის საკოსტიუმე და 7.598 მეტრი ქალის საპალტოე „მზიური“ გაუგზავნა. ამ ქსოვილებზე დიდი მოთხოვნილებაა. ნართის გამოშვების ოთხი თვის დავალება შესრულებულია 7[illegible] ტონის გადამეტებით. ამავე დროში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს 4,9 პროცენტით გადააჭარბა.

ქსოვილები მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით — [illegible] დევნით შრომობენ ქართველი ფეიქრები. [illegible] უკეთესია. მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის [illegible] დება. პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის დავალება შესრულებულია 159,7 პროცენტით.

შრომაში დაწინაურდა მაუდის ნართის წარმოება (უფროსი ვ. გამყრელიძე), რომელმაც ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით 30 ტონაზე მეტი ნართი გამოუშვა, ხოლო მზა ქსოვილების გამომყვანმა წარმოებამ 6 ათასი მეტრით მეტი ქსოვილი გამოუშვა. ემზადება რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა ივნისის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულოს არჩევნების დღისათვის.

მასობრიობაშია სპორტის ძალა

ქალაქში შევიდა სპორტული სეზონი. კარგანია გავიდნენ სპორტსმენები ღია ცისქვეშ, მწვანე მინდვრებზე. დაიწყო ახალგაზრდობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ბუნთი და მოედანი კარგახანია [illegible]ინჯეს ფეხბურთელებმა, შეჯიბრებები [illegible]ალდა საცურავ აუზებში, სარბენ ბილიკებზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა [illegible]ავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზიკულტურული მოძრაობის განვითარებას, ჩვენი ახალგაზრდობის სპორტული [illegible]ოსტატობის ამაღლებას. საბჭოთა სპორტის ძალა მასობრიობაშია. ამიტომაც არის, რომ სპორტსმენთა რიგები [illegible]ანუწყვეტლივ იზრდება. სასიხარულოა, [illegible]რომ ფიზიკულტურელთა მრავალმილიონიანი არმიაში 960 ათასზე მეტი კაცი საქართველოს წარმომადგენელია.

[illegible]წარშინდელ შეჯიბრებათა შედეგებმა [illegible]ადაყო, რომ ფიზიკულტურულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა [illegible]ობრივი ფიზიკულტურული და სპორტული მუშაობა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო საზოგადოებების [illegible]ზიკულტურის კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებას და მთელი რიგი [illegible]ონული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას. ამაზე ნათლად მეტყველებს [illegible] ფაქტი, რომ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და [illegible]ერთიერ მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის საქართველოს სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭო ექვსი წელია ზედიზედ ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის გარდამავალი წითელი დროშები და [illegible]ოგლები მიიღეს თბილისისა და ჟდანოვის სპორტულ საზოგადოებათა [illegible] ორგანიზაციათა, საკალაჯო საბჭოებმა და „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ.

[illegible]აგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ სპორტის განვითარების საქმეში ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის (დმანისის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, ბოგდანოვკის, წალკის, ვანის, გარდაბნის, უაზბეგის, თიანეთის, წალენჯიხის და სხვ.) ფიზიკულტურულ კოლექტივებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა არ მიმდინარეობს, მცირე რაოდენობით ეწყობა შეჯიბრებები, ნაკლებად ვლინდება სოფლის ახალგაზრდობის საუკეთესო სპორტსმენთა ძალები.

„ჩვენ გვიყვარს სწავლა, შრომა და სპორტი, — გვწერენ მიიაკოვსკის რაიონის სოფელ ზედა დიმის ახალგაზრდები, — მაგრამ რაიმე სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად ელმენტარული პირობებიც არ გაგვაჩნია. თავისუფალ დროს ფეხბურთიც ვერსად გვითამაშია. სოფელში იყო ქვაღორღით სავსე თავისუფალი ადგილი. ერთ დღეს ახალგაზრდობა შეივიკრიბეთ. გავწმინდეთ, გავასუფთავეთ და მოვაწყეთ ფეხბურთის მოედანი. მაგრამ ჩვენი ეს სპორტული მოედანი მოეწონა კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს და ერთ მშვენიერ დღეს გადაგვიხნეს“.

განა ეს დასაშვებია?

მასობრივი სპორტის განვითარებისათვის ყველაზე მეტი შესაძლებლობაა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დიდ საწარმოებში. მაგრამ აქაც ზოგან ამ საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ვხვდებოდით. მაგალითად, თბილისის სკოლებში ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმული თუ უნდა იყოს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 65-70 პროცენტი, სინამდვილეში ზოგიერთ სკოლაში სპორტულ სახეობებში ჩაბმულთა რიცხვი 40 პროცენტსაც არ აღემატება. ასეთი მდგომარეობაა სამწუხაროდ ბევრ სხვა სკოლაშიც.

თბილისის სათამაშოების ფაბრიკაში, სადაც რამდენიმე ასეული ახალგაზრდა მუშაობს, არავითარი სპორტული მუშაობა არ წარმოებს. ასევეა სახელსამშენებლო კომბინატში. უფრო მეტიც. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი დღემდე ყველასათვის ცნობილი იყო. აქ მრავალი სპორტსმენი აღზარდა. დღეს კი ეს სტადიონი საკალალო მდგომარეობაშია და იქ რაიმე შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელია. ამას კომბინატის ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გულდამშვიდებით შეჰყურებენ.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა სპორტის ეროვნული სახეობის (ლელო, ქართული ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა და სხვ.) აღდგენისა და განვითარებისათვის. რესპუბლიკაში მასობრივი სპორტის განვითარებისათვის სათანადო ბაზები გვაქვს. ამჟამად ჩვენი სპორტსმენების განკარგულებაშია 93 სტადიონი, 1.642 საფეხბურთო მოედანი, 8.200 კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის და სხვა სახის მოედანი, 688 სპორტული დარბაზი. მაგრამ სპორტის მოყვარული და მიმდევარი იმდენად ბევრია, რომ ეს სასპორტო ნაგებობანი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ მეტად საჭიროა არსებული ბაზები უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ.

სოფლად ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების საქმეში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მახარაძის რაიონის შემოქმედი. გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობებისა და ბარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ინიციატივა. მათ იკისრეს ახალგაზრდებისათვის კეთილმოწყობილი თანამედროვე სპორტული ბაზების შენებლობა. ეს ინიციატივა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რჩევა მისცა ფართოდ გამოეხმაურონ ამ ღირსშესანიშნავ წამოწყებას. ახლა მთავარია ამ მიმართულებით უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა. შეექმნათ ყველა პირობა ხალხმრივი სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

სპორტი ისე არ განვითარდება, ინტერესს მოკლებული იქნება, თუ არ მოეწყო მასობრივი შეჯიბრებანი. რაც უფრო მეტი მონაწილე გამოვა სტარტზე, მით უფრო მეტი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი გამოვლინდება. ჩვენში კი ჯერ კიდევ ნაკლებად ეწყობა შიდარაიონული და სარაიონთაშორისო ასპარეზობანი, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, განყოფილებების ფიზკულტურელთა ამხანაგური შეჯიბრებანი.

არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასობრივი სპორტის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. იქ, სადაც სპორტული მუშაობა კარგად არის დაყენებული, ახალგაზრდები მაღალნაყოფიერად მუშაობენ.

სპორტულ მუშაობაში არსებულ მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე იმსჯელებს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც დღეს გაიხსნება თბილისში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

სპორტულმა სეზონმა დიდი საზრუნავი გაუჩინა ჩვენს ახალგაზრდობას. მაგრამ ამჟერად ყველაზე საყურადღებოა მზადება საზაფხულო სპარტაკიადისათვის და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისათვის, რომელიც ეძღვნება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ეს მასობრივი ღონისძიება ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ ჩვენმა სპორტულმა ორგანიზაციებმა და კოლეტივებმა ფიზკულტურასა და სპორტში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კომუნიზმისათვის!

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველს

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავს შენ, ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდობავ. იმათ, ვინც უფროს თაობასთან ერთად ადნობს ფოლადს და ხიდავს მდინარეებს, მოაკვეს მოსავალი და გუშაგობს საბჭოთა საზღვრებს, სწვდება მეცნიერების საიდუმლოებებს და იერიშით მიაქვს კოსმოსზე. იმათ, ვინც აბარებს ამაყ წოდებას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის წოდებას.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, ერთსულოვნად დაუჭიროთ მხარი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი და 12 ივნისს უკლებლივ ყველამ, ხმა მისცეთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს.

ბევრი თქვენგანი პირველად მივა საარჩევნო ყუთებთან. ბევრი პირველად როდი აძლევს ხმას. და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების არჩევნები მუდამ აღმფრთოვანებელი მოვლენაა, დიდი დღესასწაულია ახალგაზრდობისათვის. ეს არის გამოხატულება ჩვენი ცხოვრების ურყევი ძირითადი კანონისა, რომლითაც საბჭოთა ადამიანს მუდამ აქვს სწავლის, დასვენების, შრომის უფლება. ეს არის საბჭოთა ადამიანების შეგნებაში დამკვიდრებული მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ჩვენა ვართ, ეს არის იმ უდიდესი უფლებებისა და პატრიოტის და ხალხის იმ ნდობის გამოხატულება, რომლითაც ჩვენს ქვეყანაში სარგებლობს ახალგაზრდობა.

შეშშარატად ღირსშესანიშნავ დროს მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. ეს არის დრო კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა, რომელმაც დასახა წარტაცი პრესპექტივები. მან კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი რწმენა, ჩვენი სურვილი ვმოქმედდეთ, ვიბრძოდეთ და ვიმარჯვებდეთ დიდი მიზნისათვის — კომუნიზმის აშენებისათვის.

ეს არის დრო ახალი ხუთწლედის დაწყებისა, როცა საბჭოთა ხალი პრაქტიკულად შეუდგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების გეგმის შესრულებას, რომელიც XXIII ყრილობამ მიიღო.

ეს არის დრო, როცა ვემზადებით სახელოვანი ისტორიული თარიღის — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად. რამდენი გაგაფთრებული კლასობრივი ბრძოლა გადაუტანია ჩვენს ქვეყანას, რამდენი გმირობა ჩაუდენიათ საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. კაცობრობის ისტორიაში არ ყოფილა ხალხი, რომელსაც ასეთი მოკლე ვადაში მოეხდინოს ესოდენ დიდებული საგმირო საქმენი ახალი საზოგადოების შენებლობაში, როგორიც ჩვენმა საბჭოთა ხალხმა მოახდინა.

საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლების, მშენებლობისა და გამარჯვებათა ორმოცდაათი წლის გზა — ეს არის კომკავშირის, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის გზაც. ეს არის წლები, როცა იწრთობოდა ფოლადი, ყალიბდებოდა რწმენა და ხასიათი, როცა იჭედებოდა უსაზღვრო სიმამაცის, ვაჟკაცობისა და კომუნისტური სიმტკიცის ახალგაზრდა მებრძოლთა თაობები. ეს წლები აღნიშნულია ხუთი ორდენით კომკავშირის დროშაზე.

ბაკავ კონრაგანის თანამდროვენი საბჭოთა ხელისუფლებას ხმას აძლევდნენ ხმლითა და შაშხანით. პირველი ხუთწლედების ახალგაზრდობა ხმას აძლევდა პირველი ბრმედებითა და ტრაქტორებით, დამკვრელობითა და მუშფაკებით, ჩვენი არმიისა და ფლოტისადმი შეფობით, რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობით. დადგა დრო — და ახალგაზრდა თაობამ მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებას ხმა მისცა სვეტლოპოლთან, ბრეესტა და ოდესასთან, ლენინგრადსა და კიევთან, მოსკოვსა და სტალინგრადთან, ფრონტებზე და ზურგში ბრძოლებით, ფაშიზმის სრული განადგურებითა და შემუსვრით.

ახლა საბჭოთა ხელისუფლებას თქვენთან ერთად ვაძლევთ ხმას და კვლავ ნათლად გვაქვს შეგნებული ჩვენი პასუხისმგებლობა. ეს არის პასუხისმგებლობა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების სათუთად დაცვისა და განვითარებისათვის, კომუნისტური პარტიის იდეებისა და საქმისადმი ერთგულებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. ხმას მივცემთ ჩვენი მამების სახელოვან, გმირულ გზას, იმ ს

საბჭოთა დელეგაცია

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

ა. ნ. კოსიგინი ეწვია პრეზიდენტ ნასერს

კაირო, 10 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ეწვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს მის რეზიდენციაში.

პრეზიდენტ გ. ა. ნასერსა და ა. ნ. კოსიგინს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დ. ს. პოჟიდაევი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — ვიცეპრეზიდენტი ჰ. შაფი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. ჰალები.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

კაირო, 11 მაისი. (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ა. ნასერმა სადილი გაუმართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

„არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა გახდა ბრწყინვალე ნიმუში ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა და გაგება“, — თქვა თავის გამოსვლაში სადილზე პრეზიდენტმა გ. ა. ნასერმა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა ძირითადი ნიშანსვეტები საბჭოთა კავშირ-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობის გზაზე „სრული ურთიერთ ნდობისაკენ“, ამ ნიშანსვეტებს მიაკუთვნა მან მორალური და მატერიალური დახმარება, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხმა და მთავრობამ გაუწიეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს სუეცის ბრძოლის ყველაზე პასუხსაგებ მომენტში, ეკონომიური თანამშრომლობა ეგვიპტის ინდუსტრიალიზაციისა და ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის საქმეში, ერთობლივი ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში და ეროვნულ-გამმათავისუფლებელი მოძრაობისათვის დახმარების გაწევა.

„დღეს, — თქვა გ. ა. ნასერმა, — ჩვენს ხალხებს კიდევ უფრო მეტად სწამთ მშვიდობიანი თანაარსებობა და საერთაშორისო თანამშრომლობა იმ პირობით, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა შენდება სამართლიან საწყისებზე, ხოლო საერთაშორისო თანამშრომლობა ხორცეულდება თავისუფალ, თანასწორუფლიან მხარეებს შორის.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის ინიციატივას აზიის ორი დიდი ქვეყნის — ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის შემდგომი გაუარესების აღკვეთის საქმეში. ამ ინიციატივამ სიტყვა „ტაშკენტი“ მშვიდობისა და თანხმობის სიმბოლოდ გადაქცია, რითაც ამაყობს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხები კიდევ უფრო მტკიცედ ებრძვიან მშვიდობისათვის, რადგან ღრმად აქვთ შეგნებული საშიშროება ესკალაციისა, რომელმაც შეიძლება საშინელი საფრთხე შეუქმნას მთელ კაცობრობას.

„შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებმა, რომლებიც ისწრაფვიან დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები, დაიწყეს იერიშები აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.

ამასთან დაკავშირებით გ. ა. ნასერმა, კერძოდ, აღნიშნა შეერთებული შტატების „არადამიანური აგრესია“ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის წინააღმდეგ; ნეოკოლონიალიზმის თავდასხმები მეუმხრობელ ქვეყნებზე; „მათ წინააღმდეგ ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ზემოქმედების გამოყენება, რათა გატეხონ მათი წინააღმდეგობა და კვლავ დაადონ უსასტიკესი ექსპლოატაციის „უღელი“, რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც აფრიკაში ხორციელდება.

„მაგრამ, მიუხედავად ამ შემაშფოთებელი ნიშნებისა, — განაცხადა გ. ა. ნასერმა, — ჩვენ აღსავსენი ვართ ოპტიმიზმით და იმედებით, რომელთა წყაროა ხალხთა ნება, განვითარების ისტორიული პროცესის გარდუვალობას რომ გამოხატავს“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მომავალი მოლაპარაკება სამსახურს გაუწევს საბჭოთა კავშირ-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობის განმტკიცებასა და გაძლიერებას.

თავის სიტყვაში სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა:

დიდი კმაყოფილებას ვგრძნობით ჩამოვიდა დღეს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში. ჩვენ ჩამოვიტანეთ საბჭოთა ხალხის ძმური სალამი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი. ვსარგებლობ რა იმით, რომ აქ არიან თქვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები, მე მინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნიკოლოზ ვიტალიის-ძე პოდგორნის სახელით ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელის სახელით უღრესად გულმხურვალე მივესალმო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პარტიის წევრებსა და ჩვენს დიდ მეგობარს პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს. ამ მისალმების გულითადობა გამოხატავს ღრმა პატივისცემასა და მეგობრობას, რომლითაც საბჭოთა კავშირში გამსქვალული არიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისა და მისი პრეზიდენტის — გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმისათვის მებრძოლის მიმართ.

დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ასეთივე გრძნობებით არის გამსქვალული თქვენი ქვეყნის ხალხი საბჭოთა კავშირისადმი. ამას მოწმობს მხურვალე შეხვედრა, რომელიც კაიროს მცხოვრებლებმა მოუწყვეს საბჭოთა დელეგაციას ავროდრომზე და თქვენი დადაქალაქის ქუჩებში. ამას მოწმობს აგრეთვე ყოველივე ის, რაც თქვენ, პატივცემულო პრეზიდენტო, ეს-ეს არის თქვით ჩვენი ქვეყნის შესახებ. ჩვენ დიდად მადლობელი ვართ გულმხურვალე შეხვედრისა და სტუმართმოყვარეობისათვის, თქვენი მეგობრული, გულთბილი სიტყვებისათვის.

ჩვენი ვიზიტი ეს არის დაიწყო. მე და ჩემი ამხანაგები უნდა გავეცნოთ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცნობთ იმ დიდ ცვლილებებს, რაც თქვენი ქვეყნის მაწა-წყალზე ხდება, და ჩვენთვის ფრიად საინტერესო იქნება ჩვენი თვალით ვნახოთ ყოველივე ეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1952 წლის 23 იულისს რევოლუცია ეგვიპტის მეორე დაბადება იყო. უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ, რომელიც იმპერიალიზმისა და შინაური რეაქციის კავშირს ეყრდნობოდა, თქვენ გაათავისუფლეთ ქვეყანა, დაიმკვიდრეთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

განვლილ წლებში არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. დიდი ძვრები სოციალურ სფეროში, ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა, მოსახლეობის ფართო ფენების კეთილდღეობის გაუმჯობესება— აი რა ახასიათებს ახალ დამოუკიდებელ ეგვიპტეს, რომლის ხალხი ებრძვის ქვეყნის განვითარებისათვის სოციალისტური გზით.

რევოლუციურმა გარდაქმნებმა აამაღლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟი, ფართო აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ეს გარდაქმნები მნიშვნელოვანი წვლილია იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის საერთო საქმეში, მათ ხელი შეუწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას აზიასა და აფრიკაში. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება.

დაკარგული პოზიციები რომ დაიბრუნოს, იმპერიალიზმი მიმართავს შეთქმულებებს, პროვოკაციებს, ხოლო ზოგიერთი რაიონში — აშკარა აგრესიას თავისუფალი ხალხების წინააღმდეგ. ასე იყო ეგვიპტის წინააღმდეგ სამთა აგრესიის დროს. ასე ხდება ახლა ვიეტნამში. მაგრამ აგრესორს ყველგან ერთი ბოლო მოელის: იგი დამარცხდება. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ვიეტნამის საკეთილს მოწესრიგების პროგრამას, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა, და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამას.

საბჭოთა ადამიანებს კარგად ახსოვთ ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვები, რომ იმპერიალისტები, თავიანთი ბატონობა რომ შეინარჩუნონ, მიმართავენ ყოველგვარ ავანტიურას, მაგრამ მათ არ ძალუძთ შეაჩერონ რევოლუციური პროცესი. ის, რაც მსოფლიოში ხდება, ადასტურებს ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებს.

ყველას, ვინც ეწევა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მტკიცედ და დადაჭრით უჭერენ მხარს ჩვენი სახელმწიფო და მთელი საბჭოთა ხალხი. ვფიქრობ, რომ თქვენი ქვეყნის ხალხს, ისე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის ხალხებს, შესაძლებლობა ჰქონდათ პრაქტიკულად დარწმუნებულიყვნენ ამაში.

როცა ეგვიპტელები მოითხოვდნენ ინდოელთა ჯარების გაყვანას თავიანთი ქვეყნის ტერიტორიიდან, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა მათს სამართლიან მოთხოვნებს. საბჭოთა კავშირი თქვენთან ერთად იყო სუეცის კონფლიქტის დღეებში, როცა ეგვიპტემ საკადრისი პასუხი გასცა გაერთიანებულ იმპერიალისტურ აგრესიას. ჩვენ არაბებთან ერთად ვიყავით, როცა 1957 წელს საფრთხე მოელოდა სირიას. თქვენთან ერთად ვიყავით 1958 წელს, როცა იმპერიალისტებმა მოახდინეს ინტერვენცია ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

მთელი ამ წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირი მტკიცედ იდგა იმ ხალხთა აქტიური მხარდაჭერის პოზიციაზე, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენ კვლავაც ამ პოზიციაზე ვდგავართ.

ძვირფასო მეგობრებო! საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხებს ერთიანებთ და აკავშირებთ საერთო იდეალი და მიზნები მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ვფიქრობ, რომ თქვენც, პატივცემულო პრეზიდენტო, იზიარებთ იმ აზრს, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა გასცდა ჩვეულებრივი მშვიდობიანი თანაარსებობის ფარგლებს და არის ახალი ტიპის ურთიერთობა, რომელიც გამსქვალულია ურთიერთნდობის სულისკვეთებით და ემყარება ფართო თანამშრომლობას ყველა დარგში. ვფიქრობთ, ეს დიდი მიღწევაა როგორც ჩვენი ქვეყნების ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო პლანით. საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ იმ პოზიტიურ როლს, რომელსაც ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი გაფართოება ასრულებს. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური პროგრესის გზაზე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მუდამ შეუძლია საბჭოთა კავშირის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის იმედი იქონიოს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თანამშრომლობა, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში ვითარდებოდა სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს თქვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის ამოცანების გადაწყვეტას. იგი შეესაბამებოდა ჩვენს ინტერესებსაც.

დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ მარშალ პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი საბჭოთა კავშირს ეწვია. ამ ვიზიტმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ურთიერთნდობა, ურთიერთგაგებისა და ამხანაგური მხარდაჭერის სულისკვეთება.

ჩვენ მოხარული ვიყავით, რომ სკკპ XXIII ყრილობაზე მოსკოვში მივესალმეთ არაბთა სოციალისტური კავშირის დელეგაციას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და არაბთა სოციალისტურ კავშირს შორის კონტაქტებს განვითარება აგრეთვე ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას.

საბჭოთა დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი კაიროში შესაძლებლობას მოგვცემს გავუზიაროთ პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერსა და მის კოლეგებს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს ახლები მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე განვიხილოთ, თუ რა პერსპექტივებია ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ როგორც ეს საუბრები სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება.

სიტყვის დასასრულს ა. ნ. კოსიგინმა აღიდგინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი, აყვავება და განმტკიცება უსურვა საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია იყო ხელუანში

კაირო, 11 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. სტუპაკი და ვ. დუგანოვი გვატყობინებენ:

დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინის მთავრობის დელეგაციის წევრებმა პრეზიდენტ ნასერთან ერთად დაათვალიერეს ხელუანის სამრეწველო კომპლექსი, რომელიც მდებარეობს 45 კილომეტრზე კაიროს სამხრეთით.

სამრეწველო კომპლექსში შედის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის კოქსქიმიური ქარხანა, ნაჭედების და ელექტროშესადუღი წრედების ქარხანა, რომლებიც აშენდა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით. ორივე ქარხნის მშენებლობა დამთავრდა 1964 წელს. ახლა აქ 2 ათასამდე კაცი მუშაობს.

ამ ორი სამრეწველო საწარმოს აშენებაში მჭიდრო თანამშრომლობის გარდა, საბჭოთა კავშირი დაეხმარა ეგვიპტის ეროვნული სამრეწველო კადრების შექმნაში. ორივე ქარხანაში დღეს მუშაობს ბევრი ეგვიპტელი სპეციალისტი, რომლებმაც ტექნიკური განათლება საბჭოთა კავშირში მიიღეს.

ამჟამად კოქსქიმიური ქარხნის მთლიანი პროდუქცია შეადგენს 280.000 ტონა კოქსს წელიწადში, რაც მთლიანად უზრუნველყოფს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოთხოვნილებას. გარდა ამისა ქარხანა აწარმოებს სხვა პროდუქტებს, მათ შორის बენზოლს, გოგირდმჟავასა და კოქსის გაზს, რომელსაც სასუქების წარმოებისათვის იყენებენ.

ორივე ქარხნის მუშათა კოლექტივები საპატიო სტუმრებს შეხვდნენ მქუხარე ტაშით, მისასალმებელი შეძახილებით საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობის პატივსაცემად.

ბევრ დგანზე ცარცით იყო წარწერილი არაბულ და რუსულ ენებზე: „დიდი სალამი საბჭოთა მთავრობის დელეგაციას!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას!“.

კაირო, 11 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. სტუპაკი და ვ. დუგანოვი გვატყობინებენ: ხელუანის სამრეწველო კომპლექსის დათვალიერების შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ა. ნასერი და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები იყვნენ ეგვიპტის ეროვნული მუზეუმში და დაათვალიერეს ძველი ეგვიპტის ძეგლები.

ამ მუზეუმში არის ეგვიპტის სიძველეთა მსოფლიოში უდიდესი კოლექცია. იგი მოიცავს 4.500-ზე მეტი წლის პერიოდს. მუზეუმის 120 დარბაზში გამოფენილია 250.000-ზე მეტი ექსპონატი. ბევრი მათგანი უნიკალურია და მთელ მსოფლიოში ცნობილი.

ნინასაარჩევნო დღეები

საუბრები, გამოფენები

გურჯაანი. რაიონში მთელი ძალით გაჩაღდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — ყველგან ეწყობა საუბრები, ლექციები და მოხსენებები საბჭოთა კონსტიტუციაზე, ჩვენი დროის აქტუალურ საკითხებზე, სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულებაში რაიონის მშრომელთა ამოცანებზე.

მეტად მრავალფეროვანია ამ დღეებში მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. საუბრებისა და ლექცია-მოხსენებების გარდა იმართება კონსულტაციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები სკკპ XXIII ყრილობის დელეგატებთან და სხვა მოწინავე ადამიანებთან. აგიტპუნქტებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წითელ კუთხეებში მოწყობილია საათანადო ლიტერატურისა და სხვადასხვა მასალების გამოფენები, რომლებსაც ამომრჩევლები ინტერესით ეცნობიან.

ს. შაქარაშვილი.

ვაგონ-კლუბის რეისი

სამტრედია. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფკომმა საკეთილო-მოსამსახურეებში მომუშავე რკინიგზელთა ოჯახებისათვის — მორიგ რეისში გაუშვა ვაგონ-კლუბი, რომელსაც მოძრავი კინოდანადგარი და მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს.

ვაგონ-კლუბს პირველ რეისში თან ახლავს ლექტორ-მომხსენებელთა დიდი ჯგუფი. მისი მარშრუტია ბათუმი—ფოთი—ქუთაისი—ტყიბული—ზესტაფონი—ჭიათურა.

ვაგონ-კლუბი უკვე რეა ფოთის სადგურში, სადაც რკინიგზელთათვის ლექტორებმა გ. ქავთარაძემ, შ. ჩიხლაძემ, ს. აივაზოვმა წაიკითხეს ლექციები თემებზე: „ხაბჭოთა ხაარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში“, „პარტიის ბრძოლა საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის“, „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი“.

ვაგონ-კლუბში ხშირად უჩვენებენ მხატვრულ კინოფილმებს.

ი. გოგოლაძე.

ახალი აგიტპუნქტები

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონში კიდევ უფრო გაფართოვდა აგიტპუნქტების ქსელი. რაიონის ცენტრში, მე-10 საგზაო-საექსპლოატაციო უბანთან, აგრეთვე დიმის სასოფლო საბჭოსთან, ზედა დიმის, წყალთაშუას და ზეგნის რვაწლიან სკოლებთან დამატებით შეიქმნა ხუთი ახალი აგიტპუნქტი.

ამ დღეებში დაბა მაიაკოვსკში, სოფლებში ფერსათში, დიმსა და წითელსოფში გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტპუნქტების გამგეების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, აგიტატორებისა და ლექტორ-მომხსენებლების საინსტრუქტაჟო ზონალური თათბირები.

გვიან ღამემდე ანთია აგიტპუნქტების ჩირაღდნები. ამომრჩევლებისა თ ვ ი ს იმართება საუბრები, ლექციები, თემატური საღამოები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან. ეწყობა კინოფილმების ჩვენება, თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები.

საუგრეგს 1.200 აგიტატორი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელი მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ახლა რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში საგაგიტაციო საუბრებს მართავს 1.200-ზე მეტი აგიტატორი. მშრომელებს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და საბჭოთა კონსტიტუციის დემოკრატიულ პრინციპებს განუმარტავენ აგრეთვე ლექტორ-მომხსენებლები, პროპაგანდისტები, აქტივი.

საგაგიტაციო მუშაობის ცენტრებია ფეროშენადნობთა, კაბელის, ელექტროელემენტების ქარხნების, ფუთის, ალავერდის, მეორე ხვირის, დილაკაურის აგიტპუნქტები.

მზადება გაჩაღდა

ქობულეთი. რაიონში ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა დამატებით გამოკვლევს აგიტატორები. ამჟამად რაიონის მშრომელებში 100-ზე მეტი აგიტატორი ეწევა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საბჭოთა საარჩევნო სისტემის პროპაგანდას. აგიტპუნქტებმა გააზაღეს ფართო საგაგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მიეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები.

პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფისა და საზოგადოება „ცოდნის“ წევრები მშრომელთა წინაშე გამოდიან ლექციებითა და მოხსენებებით საარჩევნო საკითხებზე.

ე. მეჭვაბიშვილი.

ყოველდღე დიდი გამოცოცხლებაა ოქტომბრის რაიონის № 18/18 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში. აქ იმართება საუბრები, კონსულტაციები, ამზადებენ კედლის გაზეთის ახალ ნომერს...

სურათზე: (მარჯვნიდან) აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ა. იმნაძე, აგიტატორები მ. მათიაშვილი, თ. ალხაზოვი, მ. სტეფანოვა, და თ. გუმბერიძე აგიტპუნქტში მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსკ თეთრეული ცხოვრება

ინდოეთის კომპარტიაში 1,5 მილიონზე მეტი კაცია

რომი, 10 მაისი. (საკდესი). 1966 წლის 10 მაისის მონაცემებით იტალიის კომუნისტური პარტიაში არის 1 მილიონ 512 ათას 555 კაცი, წერს გაზეთი „უნიტა“. აქედან 96 ათას 728 კაცმა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ შეიტანა 1966 წელს.

იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტურ ფედერაციაში ამჟამად არის 137 ათას 265 კაცი, რომელთაგან 25 ათას 391 კაცი კომკავშირელთა რიგებს მიმდინარე წელს შეემატა.

სირიის მთავრობის განცხადება

დამასკო. 10 მაისი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა სირიის მთავრობის ოფიციალური განცხადება. განცხადებაში კვრძოდ, ნათქვამია, რომ გუშინ სპეციალურ სხდომაზე სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაწვრილებით განიხილა მდგომარეობა, რომელიც შეექმნა შინაგანი რეაქციის ძალთა აქტივიზაციისა და იმპერიალიზმის ხრიკების გაძლიერების შედეგად.

„შინაგანი რეაქციის გამოცოცხლება,— აღნიშნულია განცხადებაში, ხდება სირიის სამხრეთ საზღვარზე იორდანიის ჯარების, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე — ისრაელის ჯარების კონცენტრაციასთან ერთად“.

გაზეთი „ალ-ბაასი“ განმარტავს ამ განცხადებას და სიტუაციას, რომელიც სირიის ჯარშემო იქმნება, მიიჩნევს ახალ აგრესიად, რასაც ამზადებენ იმპერიალიზმი და არაბეთის რეაქცია.

ამერიკის შეერთებული შტატები უკანონო, ბინძურ ომს ეწევიან

ვაშინგტონი, 10 მაისი. (საკდესი). „უსინდისო თვალსაზრისი“ — ასე დაახასიათა დემოკრატმა სენატორმა უვინ მორზემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დ. რასკის მტკიცება იმის შესახებ, რომ ამერიკის ომი ვიეტნამში შეიძლება გამართლებულ იქნეს „საერთაშორისო სამართლით“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, საერთაშორისო მოლაპარაკებით. მორზემ თავისი განცხადება გააკეთა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე მაშინვე, როგორც კი რასკმა სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად. მორზემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ეწევა „უკანონო ბინძურ ომს“. კომისიის წევრმა სენატორმა ფ. ლაუშემ, რომელიც იცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის აგრესიას, მხარი დაუჭირა რასკს და მორზეს ბრალი დასდო, „სრულიად ყალბი განცხადება“ გააკეთეთო.

სენატორმა მორზემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები უარყოფენ რასკის არგუმენტებს შეერთებული შტატების გამოუცხადებელი უკანონო ომის დასაცავად. მე მსურს, თქვა სენატორმა, რომ ამერიკელმა ხალხმა ყველა ეს ფაქტი იცოდეს კონგრესის არჩევნების წინ, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში მოეწყობა.

კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა უ. ფულბრაიტმა მხარი დაუჭირა მორზეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკელი ხალხი შეშფოთებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის მოქმედებით.

კომისიის რამდენიმე წევრმა შეშფოთება და გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ საიგონელი „პრემიერი“ კი არ აპირებს არჩევნები გამართოს მიმდინარე წლის აგვისტოში და სურს შეინარჩუნოს თავისი რეჟიმი.

რასკი ფაქტიურად იცავდა მარინენტთა განზრახვებს. სენატორმა ფულბრაიტმა ამის გამო კის უწოდა „უპასუხისმგებლო ადამიანი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს არჩევნებს“. ხოლო სენატორმა კ. პელმა კომისიის წევრთა ყურადღება მიაპყრო კის გეგმებს გამოიყენოს არჩევა, რათა ხელი შეუშალოს ახალ მთავრობაში კომუნისტებისა და ნეიტრალისტების არჩევას. სახელმწიფო მდივანი იცავდა საიგონელი გენერლის ამ გეგმებსაც. რასკი იქვე ამტკიცებდა, რომ თითქოს ამერიკის მთავრობას სურდეს სამხრეთ ვიეტნამში თავისუფალი არჩევნების მოწყობა.

ინციდენტი ისრაელ—იორდანიის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან იუწყება, იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 10 მაისს საღამოს ისრაელისა და იორდანიის ჯარები ორი საათის განმავლობაში გაფფრენებულ ბრძოლას აწარმოებდნენ ჰეგრონის რაიონში (იერუსალიმის სამხრეთით).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისრაელის პოზიციებიდან ტყვიამფრქვევისა და საარტილერიო ჭეშმეხის ცეცხლი დაუშინეს იორდანიის პოზიციებს. იორდანელებმა სპასუხო ცეცხლი გახსნეს. იორდანიის ჯარებს ზარალი არ მოსვლიათ.

კვლავ მომგებიანი გაზეთები

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატები სულ უფრო ხშირად და სულ უფრო დიდი მასშტაბით იყენებენ მომწყმვლელ გაზებს ბინძურ ომში სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, „ს“ ზონაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა 8 მაისს ჩამოაგდეს გულისრქვის გამომწვევი გაზით სავსე ბალონები, რომელთა საერთო წონა სამ ტონას აღწევს.

ფიქრობდნენ, აღნიშნავს კორესპონდენტი, გამოეყენებინათ გაზები, რათა გაეადვილებინათ ამერიკის არმიის 2.500 აირწინაღიანი ჯარისკაცის შეტევა.

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). ამერიკის ჯარებმა სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიყენეს მომწყმვლელი გაზები. როგორც მოწმობს იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტის ცნობა, ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა 12 ტონა მომწყმვლელი გაზები მოაფრქვიეს განთავისუფლების არმიის მებრძოლთა პოზიციებზე კამბოჯის საზღვრის ახლოს.

ვაშინგტონი, 10 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა გუშინ აღიარა, რომ 8 მაისს სამნახევარი ტონა შხამიანი ფხვნილი ნივთიერებანი მოაფრქვიეს საიგონის ჩრდილო-დასავლეთით 112 კილომეტრზე მდებარე რაიონებში. ამის შემდეგ მოწამლულ რაიონებში შევიდნენ აირწინაღიანი ამერიკელი ჯარისკაცები. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი იცავდა გაზების გამოყენებას და ამართლებდა იმით, რომ თითქოს ეს „ტაქტიკური“ იარაღი იყოს.

პენტაგონის აღიარებას წინ უძღოდა ეურნალ „ნიუსუიკის“ ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ქვეითი არმიის ვერტმფრინავები სამხრეთ ვიეტნამში პარტიზანთა რაიონებში ყრიან ცრემლსადენი გაზის 55 გალონიან ბალონებს. პენტაგონი სულ უფრო ხშირად მიმართავს ბარბაროსულ საშუალებებს, რათა ჩაახშოს სამხრეთ-ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ჩამო

მოგილოცავთ მთავროგის მაღალ ჯილდოს, მეგობრებო!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვების შესახებ

შრომის წითელი დროშის ორდენით

(გაგრძელება)

ზონია ბაბი ლუკას ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობა.

ზონია ლაძარა ზოსიმეს ასული — ზესტაფონის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ზაზიაშვილი შალვა ხაჩარის-ძე — ტრესტ „საქმიდროეფერგოშენის“ საგარეო მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს № 2 უბნის ბეტონმზრავის მეექანიკე.

ზეტეანი გრიგოლ პლატონის-ძე — ბაღლისის მაკარობის ფაბრიკის მექანიკოსი საამქროს ბოგადირი.

ზუბაზეშვილი მიხეილ სამსონის-ძე — ონჯანის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ზუბათიძე ნატალია გიორგის ასული — ლენინგორის რაიონის ელექტროგის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, შეულია აკაკი კონსტანტინეს-ძე — ფეოდიდის რაიონის ინგიოლის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

ჩაგელანი ანა მიხეილის ასული — ალექსანდრიის რაიონის ჯოფორიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ჩაგელანი ანა მიხეილის ასული — ბაღლისის ამრეშუმსაქსოი ფაბრიკის მეშვა.

ჩანდარი სოლომონ გერასიმეს-ძე — ბაღლისის სატყეო მეურნეობის ორთოგოლის სატყეოს მეშა.

ჩარგაზია მარო ივანეს ასული — ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეშა.

ჩიფიძე მარიამ ალექსანდრეს ასული — ბაღრატიონის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჩარხალია ნაოლოს კირილეს-ძე — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის პასტეული კომიტეტის მდივანი.

ჩარხუა ქნანა ოქროპირის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ დაბლა ეგრისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჩახვაშვილი აკაკი იოსების-ძე — გურიის რაიონის კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ჩერნენკო თევდორე ვასილის-ძე — ოდესის რაიონის დაბა ბოგდანოვკის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ჩერქეზია ოთარ ეტერის-ძე — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ჩეხაშვილი გეორგენ იაკობის-ძე — ბაღლისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ინსის“ მეშა.

ჩიგოგიძე შალვა სამსონის-ძე — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი.

ჩიგჩიანი მართა ოპანასის ასული — ალექსანდროეს რაიონის ჯოფორიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

ჩიკვაიძე დიმიტრი ნესტორის-ძე — „ენგურჰესშენის“ კომბინატის უფროსი.

ჩიკვილაძე პავლე აჩრილის-ძე — საქართველოს პროფკავშირთა კურორტების თვალის რუსეთბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ჩიტაური თამარ მიხეილის ასული — ფოწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ფოის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჩიქოვანი შალვა ალექსანდრეს-ძე — ბაღლისის ალიოვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

ჩიხლაძე მარიამ ალექსანდრეს ასული — ბოგომის რაიონის ქიშნისის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ჩიხლაძე ქსენია ვასილის ასული — ბაღლისის აბრეშუმის კომბინატის ინჟინერ-მექანიკოსი.

ჩიხლაძე პიმენ ნიკოლოზის-ძე — გურიის რაიონის სოფელ ტყვავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩოდრიშვილი იოსებ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ჩოკოშვილი ზაქარია თევდორეს-ძე — ბორჯომის რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის აგრონომი.

ჩომახაძე ლაანა ვასილის ასული — ლუტაკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

ჩოფიკაშვილი ივანე ვლადიმერის-ძე — ყაზბეგის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ჩუბინიძე დავით კარპეს-ძე — ქუთაისი მანის ქარხნის მინის საყალიბე მანის მემანქანე.

ჩუგუევა მარო კონსტანტინეს ასული — გურჯაანის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მეფრინველე.

ჩუთლაშვილი ქეთევან გიორგის ასული — ლაგოდეხის რაიონის ძერეინსკის ბალის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჩუხრუკაძე ოლღა სამსონის ასული — ბორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკი.

ჩხაიძე ლეონიდე ალექსანდრეს-ძე — ტრესტ „ქაათურმარგანეცის“ ლენინის ბალის კოლმეურნეობის მაღაროთა სამმართველოს მექანიკოსი.

ჩხაიძე ოლღა ანასტასის ასული — მაიაკოვსკის რაიონის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჩხაიძე პეტენა ნიკოლოზის ასული — ლენინგორის რაიონის ბაბის მერძეველობა-მებმოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეურნე.

ჩხარტიშვილი ალექსანდრე ბოსტნის-ძე — ბაღლისის ალიოვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ბრიგადირი.

ჩხეიძე ალექსანდრე ბესიკის-ძე — ბაღლისის ალიოვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ბრიგადირი.

**ჩხეიძე ბესიკ ალექსანდრეს

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება)

ახვლედიანი არჩილ ვიქტორის-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ახალქალაქის სასისტემო სამმართველოს უფროსი.

ახვლედიანი ზურაბ გიორგის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

ახვლედიანი ლევან ლავრენტის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ ბრიგადირი.

ახმედოვი სეიფადინ ყულუ ოღლი — ბოლნისის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი-მეთამბაქოე.

ახობაძე მაკარ დიმიტრის-ძე — სამტრედიის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ახრახაძე ბაბა ვიქტორის ასული — ზესტაფონის რაიონული ბიბლიოთეკის გამგე.

ბაბალოძე გოგოლა ივანეს ასული — მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაბლიშვილი გურამ მიხეილის-ძე — ყვარლის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაბუნაშვილი მიხეილ პორფირის-ძე — თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი.

ბაბუხადია ქრისტეფორე ილიას-ძე — სოფელ ციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ქ. ტყიბული.

ბაგაური შუშანე შუბოკის-ძე — ახმეტის რაიონის სოფელ ფიროზოვანის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბადურაშვილი ოლოა მიხეილის ასული — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „დურუჯის“ კოლმეურნე.

ბაზერაშვილი შოთა ლუკას-ძე — რუსთაველ ქმბორი კომბინატის კადრების განყოფილების უფროსი.

ბაზიაკი ვლადიმერ გრიგოლის-ძე — ელექტროტექნიკური ქარხნის ზეინკალი.

ბაზიარი ამბერკი ერასტის-ძე — სახელმწიფო სტატისტიკის გარდაბნის რაიონის ინსპექტორი.

ბაოიაშვილი სიმონ მიხეილის-ძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი.

ბაიაძე ყარამან ივანეს-ძე — გორის რაიონი სოფელ მერეთის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაიზურდოვი ანდრია ნიკოლოზის-ძე — წალკის რაიონის ავრანლოს მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბაირამოვი ამირხან მაჰმუდ ოღლი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ბრიგადირი.

ბაირამოვი ისა მაჰმუდ ოღლი — ბოლნისის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ბაკაშვილი დიმიტრი ვასილის-ძე — გორის შპრომლითა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე.

ბაკურაძე რაისა შამშეს ასული — მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაკურაძე როსტომ გრიგოლის-ძე — სადმელის ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორი.

ბალაბანოვი ანასტას ალექსის-ძე — წალკის რაიონის ავრანლოს მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

ბალაბანოვი პეტრე კონსტანტინეს-ძე — წალკის რაიონის ავრანლოს მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბალავაძე ვახტანგ მიხეილის-ძე — ნეიბაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბერეგვეტნიკის“ უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ბალამწყარაშვილი გიორგი ზაქარიას-ძე — გაერთიანება „საქმოსტანკიშთესლის“ გორის სარაინთაშორისო განყოფილების უფროსი.

ბალანჩივაძე ომარ ვასილის-ძე — ქუთაისის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი.

ბალასიანი ჯულიეტა სენეკის ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის მწველავი.

ბარაბაძე ივანე ივანეს-ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს უფროსი სპეციალისტი ჩაის დარგში.

ბარამიძე ალექსანდრე მიხეილის-ძე — „საქფრინველმრეწვის“ მმართველის მოადგილე.

ბარამიძე არჩილ ილიას-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წოლოკიძის სასისტემო სამმართველოს უფროსი.

ბარამიძე გუგული მირიანის ასული — ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანეულის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბარამიძე ოსიპ ივანეს-ძე — სამტრედიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმის გამგე.

ბარაქაძე შოთა შალვას-ძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის თერმისტი.

ბარბაქაძე მართა ნიკოლოზის ასული — ხაშურის რაიონის დაბა სურამის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბარდაძე გიორგი იოსების-ძე — თბილისის სატვირთო სადგურის ყინულის ქარხნის მემანქანე.

ბარნოვი თენგიზ ალექსანდრეს-ძე — თბილვაგონრაბმშენის № 5 საგვირაბო რახმის გამყვანი.

ბარნოვი რუსუდან ალექსანდრეს ასული — თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტის“ მწენავი.

ბაროიანი ალმაკ გაბოს-ძე — მარნეულის რაიონის გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბარსუკოვი ნინო სერგის — ასული თბილისის № 2 პურის ქარხნის ცომგამომყვანი მანქანის მემანქანე.

ბარსუკოვი ბორის ზაქარიას-ძე — საქართველოს კპ თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი.

ბარხუდარიანი ბახო სიმონის-ძე — მარნეულის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბარხუდარიანი მეხაკ გიორგის-ძე — მარნეულის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბასილაშვილი მიხეილ გიორგის-ძე — თელავის რაიონის ნათარეულის მეგანეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

ბასილაშვილი შოთა ივანეს-ძე — საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მეორე მდივანი.

ბასილია ნიკოლოზ გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ფოთის მექანიზაციის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

ბასილიძე გულო ილიას ასული — გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბასიუკი დანიელ ტიმოფონის-ძე — „ტყვარჩელშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს სამთო საამქროს გამყვანი.

ბატიაშვილი ალექსი გიორგის-ძე — საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი.

ბატიაშვილი მიხეილ გიორგის-ძე — თელავის რაიონის წინანდლის მეგანახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

ბაქრაძე გიორგი ილიას-ძე — თბილისს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომერციული დირექტორი.

ბაქრაძე ვახტანგ ვლადიმერის-ძე — „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს სამრეწველო ვენტილაციის სამმართველოს უფროსი.

ბაქრაძე ივანე ტიმოთეს-ძე — ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ბაქრაძე კონსტანტინე შალვას-ძე — რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

ბაქრაძე ეკატერინე ნიკოლოზის-ძე — ტრესტი „საქთამბაქოს“ მმართველი.

ბაქრაძე უჩა სერგის-ძე — ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილე.

ბალთოფრია მიხეილ პორფირის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე.

ბალაშვილი იალი გიორგის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამმართველოს უფროსი.

ბალაშვილი იოსებ სიმონის-ძე — საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი.

ბაძაღუა შალვა ნესტორის-ძე — ჩხოროწყუს მეფეტქრეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე.

ბაშარული გიორგი იასონის-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის მერგოლური.

ბაჩიაშვილი გრიგოლ ვლადიმერის-ძე — თბილისის № 3 პურის ქარხნის ზეინკალი.

ბახტაძე კორნელი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის თანამოვარსკვლავედი, ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი მუსიკალური კოლექტივები.

ოფიციალურად ფესტივალი გუშინ გაიხსნა, მაგრამ მუსიკალური დღესასწაული ჩვენთვის უფრო ადრე დაიწყო, როდესაც შთაგონებულმა ხელოვანმა სვიატოსლავ რიხტერმა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე აიყარა ბეთჰოვენის 27-ე სონატის პირველი აკორდები. უკეთეს დასაწყისს ვერ ინატრებდა მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული შემოქმედებითი ფორუმი.

სვიატოსლავ რიხტერი! ეს სახელი ჰეშმარიტად მაგიური ძალის შემცველია მუსიკის მოყვარულთათვის. უკვე 20 წელზე მეტია, რაც დაიწყო რიხტერის ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს საკონცერტო ესტრადებზე და დღეს იგი თანამედროვეობის უდიდეს პიანისტად არის აღიარებული.

განუმეორებელია მისი მხატვრული ინდივიდუალობა, რომელშიც საოცარი ორგანულობით არის შერწყმული ბობოქარი, ვულკანური ტემპერამენტი და მკაცრი ინტელექტი, უსაზღვრო პოეტური ფანტაზია და უზადო გემოვნება. ასევე უმაგალითო, ყოვლისმომცველია რეპერტუარი (პრაქტიკულად არ არსებობს საფორტეპიანო ლიტერატურის არც ერთი ცნობილი ნიმუში, რომელსაც იგი არ ასრულებდეს!).

ჩვენმა ადამიანებმა ბევრი ბრწყინვალებრივი სიმკვეთრით აისახა ჩვენი მეტლვარე, დაძაბული ეპოქის სულისკვეთება და. დინამიური პულსი, და ალბათ სწორედ ეს თვისება ანიჭებს მის დაკვრას ზემოქმედების ასეთ განუმეორებელ ძალას. „მუსიკა ცეცხლს უნდა აფრქვევდეს ადამიანთა გულიდან“ — ბეთჰოვენის ეს სიტყვები უმალ გაგონდება რიხტერის მოსმენის დროს. თითქმის ყოველი მისი კონცერტი ცხოვრების ერთ-ერთ ძლიერ შთაბეჭდილებად რჩება ადამიანს. ასეთი იყო პირადად ჩემთვის და ალბათ ბევრი სხვა თბილისელისთვის მის მიერ 1946 წელს შესრულებული შუმანის „ფანტასტიკური პიესები“, 1951 წ. ლისტის სონატა სი მინორი და ბეთჰოვენის „აპასიონატა“, რომელიც მან მართლაც რომ „ზეადამიანურად“ დაუკრა და ნამდვილ ექსტაზში მოიყვანა მსმენელნი.

ახლა ამ დაუვიწყარ მოგონებებს დაემატა კიდევ ორი კონცერტით მიღებული შთაბეჭდილებები. ეს სტრიქონები არ ისახავენ მიზნად რიხტერის კონცერტების რეცენზირებას. საზოგადოდ, ეს სიტყვა ალბათ შეუსაბამოც კია ამ შემთხვევაში. გადახედეთ მისი საშემსრულებლო ხელოვნებისადმი მიძღვნილ ლიტერატურას და დარწმუნდებით, რომ იგი მთლად აღტაცებულ, დითირამბულ ტონებშია მოცემული. ოდესლაც, რ. შუმანი — გენიალური კომპოზიტორი და უაღრესად ორიგინალური მუსიკალური მწერალი, ამბობდა, რომ „მხატვრული კრიტიკის უმაღლეს სახედ უნდა ჩაითვალოს ისეთი კრიტიკა, რომელიც თვით ტოვებს თავისი წარმომშობი ობიექტის მსგავს შთაბეჭდილებას“. მაგრამ როდესაც წერ რიხტერის შესახებ, შეუძლებელი ხდება ოდნავ მაინც მიუახლოვდე ამ „კრიტიკულ“ იდეალს.

მაინც მინდა აღვნიშნო ის თვისება, რომელიც თვალში ეცემა ყოველ დაკვირვებულ მსმენელს. 50 წლის პიანისტის საშემსრულებლო ხელოვნება განუწყვეტელ ევოლუციას განიცდის, იგი სულ ახალ-ახალი ელემენტებით მდიდრდება. კერძოდ, სულ უფრო იგრძნობა მის დაკვრაში ემოციური პოლარულობის ბაზგასმა, როდესაც პროკოსიანმიდე მისულ დაძაბულობას და დინამიკას უპირისპირდება თითქმის სრული პოსტტრაცია. ეს ვიგრძენით პიანისტის ისეთ საშემსრულებლო შედეგრებში, როგორიც არიან ლისტის სონატა სი-მინორი, „რომანტიკული“ ეპოქის ბახის“ — ს. ფრანკის შთაგონებული ფანტაზია „ბრილიანტი, ქორალი და ფუგა“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი: ეს არის კლასიკური ინტერპრეტაციის ... მუშაობა ინტერპრეტაციის ... ...